



## ხატწერის ტექნიკის სპეციალისტი

---

### პროფესიული სტანდარტი

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2018 წელი

1. დასახელება (ქართულად): ხატწერის ტექნიკის სპეციალისტი
2. დასახელება (ინგლისურად): icon painting specialist
3. პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი:
4. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით: 7131
5. დასაქმების სფეროს აღწერა: ხატმწერ ოსტატად ჩამოყალიბება ეტაპობრივად ხდება. დამწყები ხატმწერი პირველ რიგში ეუფლებოდა ხატის მოსამზადებლად საჭირო ყოველნაირ მასალას: საღებავების, ხატის/ფრესკის ტექნიკისა და ტექნოლოგიის საფუძვლებს; ამავდროულად, ოსტატი ხატმწერისგან სწავლობდა ხატვას და ღვთისმეტყველებას. ხატმწერის ტექნიკის სპეციალისტის პროფესია გულისხმობს: ხატწერის ტექნიკური სამუშაოს შესრულებას, ფერწერული ხატის დამოუკიდებლად დამზადებას კონკრეტული ნიმუშის მიხედვით; ხატწერის ტექნიკის სპეციალისტს შეუძლია მონაწილეობის მიღება ნებისმიერი საეკლესიო ნივთის, ხატისა და ფრესკის შესრულებაში. შეუძლია ჩაერთოს ტაძრის მომხატველთა ჯგუფში, მოამზადოს ან მოაოქროს საჭირო ზედაპირი და ფერწერული სამუშაოები შეასრულოს ოსტატის მეთვალყურეობით; მას შეუძლია სხვა სპეციალისტ-შემსრულებელთან ერთად მიიღოს შეკვეთა და დაამზადოს ნებისმიერი საეკლესიო ნივთი, ასევე, შეკვეთით შეუძლია ნიმუშის მიხედვით დამოუკიდებლად დაამზადოს ფერწერული ხატი. იმ შემთხვევაში, თუ ხატწერის ტექნიკის სპეციალისტი დამატებით აითვისებს გამოყენებითი ხელოვნების რომელიმე ხელობას ან ითანამშრომლებს სხვა ოსტატებთან, შეძლებს ნებისმიერი საეკლესიო ინვენტარის დამზადებას; ხოლო თუ კვლავ ხატწერის მიმართულებით განაგრძობს განათლებას, დამოუკიდებელი ხატმწერის პროფესიას შეიძენს.
6. სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები: ხატწერის ტექნიკის სპეციალისტს მუშაობა მოუწევს დახურულ სივრცეში. ფრესკებზე მუშაობისას მას შესაძლოა მოუწიოს მუშაობა სიცივეში/სიციხეში;სიმაღლეზე (კერძოდ ხარაჩოზე). სახელოსნოში ან საამქროში მუშაობისას მოუწევს შეხება ქიმიურ ტოქსიკურ ნივთიერებასთანაც. სამუშაო დრო რეგლამენტირებული არ არის; სამუშაო ადგილი შესაძლებელია იყოს ქალაქგარეთ - ახლადდაგებული ტაძარი ან სამონასტრო კომპლექსი და სხვ.
7. ხატწერის ტექნიკური სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს საეკლესიო მოხატულობების ან ხატების შემსრულებელი ხატწერის სახელოსნოში; აგრეთვე, ხის, ქვის, ლითონის, ტექსტილის ან სხვა საამქროში, სადაც მზადდება საეკლესიო ნივთები და ატრიბუტიკა; მას შეუძლია შეასრულოს კერძო დაკვეთა.
8. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები: კანონმდებლობით არ არის დადგენილი.
9. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1	დაკვეთის მიღება	1.1. განსაზღვრავს დამკვეთის მოთხოვნებს;

		<p>1.2. ათანხმებს დამკვეთის მოთხოვნებს საეკლესიო იკონოგრაფიის ნორმებთან;</p> <p>1.3. ადგენს დაკვეთის მოთხოვნის შესაბამის მხატვრულ სახეს;</p> <p>1.4. ასრულებს დაკვეთის ამსახველ ჩანახატს;</p> <p>1.5. აფორმებს დაკვეთას.</p>
2	სამუშაოს ორგანიზება	<p>2.1. შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისად ამზადებს სამუშაო ადგილს;</p> <p>2.2. ამზადებს სამუშაო გარემოს ხატმწერთა ჯგუფისათვის;</p> <p>2.3. აღჭურავს სამუშაო ადგილს შესაბამისი ინვენტარით და იარაღებით;</p> <p>2.4. აღჭურავს სამუშაო ადგილს იკონოგრაფიული მასალით;</p> <p>2.5. აღჭურავს სამუშაო ადგილს სახარჯი მასალით.</p>
3	დასახატი დაფის ან/და კედლის ზედაპირის მომზადება	<p>3.1. ამზადებს დაფას/კარედს;</p> <p>3.2. აწებებს ქსოვილს საჭიროების შემთხვევაში;</p> <p>3.3. ამაგრებს სანაწილეს საჭიროების შემთხვევაში;</p> <p>3.4. ამზადებს კედლის ზედაპირს საჭიროებისამებრ;</p> <p>3.5. ასრულებს დაგრუნტვას.</p>
4	ხატის ან/და ფრესკის მოოქროება	<p>4.1. სწორი ზედაპირის მოოქროება;</p> <p>4.2. ზედაპირის დეკორატიული გრავირება;</p> <p>4.3. რელიეფური ორნამენტის შექმნა;</p> <p>4.4. ოქროს ფურცლების დაფენა-გაპრიალება;</p> <p>4.5. დამცავი ფენის/ლაქის დადება.</p>
5	მასალების დამზადება	<p>5.1. საღებავის შემკვრელი ნივთიერებების მომზადება;</p> <p>5.2. მოძიებული პიგმენტების დამუშავება;</p> <p>5.3. საღებავების მომზადება ტრადიციული მეთოდით;</p> <p>5.4. გრუნტის მომზადება;</p> <p>5.5. დამცავი საფარის მომზადება.</p>
6	ფერწერული ხატის დამზადება ნიმუშის მიხედვით	<p>6.1. ასრულებს ესკიზს;</p> <p>6.2. ასრულებს ხატს ფერწერული ნორმების დაცვით;</p> <p>6.3. ასრულებს ხატს იკონოგრაფიული ნორმების დაცვით;</p>

		<p>6.4. ასრულებს წარწერას კალიგრაფიული ნორმების დაცვით;</p> <p>6.5. აძლევს ფერწერულ ხატს საბოლოო სახეს;</p> <p>6.6. ასრულებს ფერწერულ სამუშაოს ხატმწერთა ჯგუფის ზედამხედველობით.</p>
7	საეკლესიო ატრიბუტიკის ესკიზის შექმნაში თანამონაწილეობა	<p>7.1 ადგენს სამუშაოს მოთხოვნებს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;</p> <p>7.2 ანალიზებს სამუშაოს მოთხოვნას ღვთისმსახურებასთან მიმართებაში;</p> <p>7.3 ანალიზებს სამუშაოს მოთხოვნას საეკლესიო იკონოგრაფიასთან მიმართებაში;</p> <p>7.4 მასალაში შემსრულებელ სპეციალისტთან ერთად ასრულებს მოსამზადებელ ჩანახატებს;</p> <p>7.5 მონაწილეობს ესკიზის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში;</p> <p>7.6 მუშაობის პროცესში შემსრულებელ სპეციალისტს უწევს დახმარებას.</p>
8	პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა	<p>8.1 აფასებს საკუთარ კომპეტენციას, ცოდნასა და უნარებს;</p> <p>8.2 გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას;</p> <p>8.3 ეცნობა პროფესიულ სიახლეებს;</p> <p>8.4 ერთვება პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.</p>

**10. პიროვნული თვისებები:**

- რელიგიური
- პასუხისმგებლიანი
- შემოქმედებითი
- ხელმარჯვე
- დაკვირვებული
- ორგანიზებული

**11. მატერიალური რესურსი**

**ხელსაწყოები, დანადგარები, მასალები:**

ქურა (გაზის/ელექტრო), მაცივარი, კომპიუტერი, დახურული კარადები;

დაზგური ფერწერისთვის საჭირო აღჭურვილობა: მოლბერტი, მაგიდა, პალიტრა, დაფა, სახატავი სახარჯი მასალები;

მოოქროებისთვის საჭირო მასალები და იარაღები, გრავირებისთვის საჭირო იარაღები გრუნტისთვის; საჭირო მასალები და იარაღები, გასანათებელი საშუალებები, ხის დასამუშავებელი ხელსაწყოები.

**12. სამომავლო ტენდენციები:**

- ტექნოლოგიის განვითარება
- ახალი მასალების შემოსვლა ათვისება
- ახალი წმინდანების/დღესასწაულების იკონოგრაფიის შექმნა

**13. პროფესიული ცოდნა და უნარები:**

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	დაკვეთის მიღება	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ეფექტური კომუნიკაციის მეთოდები</li> <li>• კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენების წესები</li> <li>• ეთიკის ნორმები</li> <li>• საეკლესიო საიდუმლოებები</li> <li>• ქრისტიანული ეკლესიის ფუნქცია</li> <li>• ხატმწერის მოვალეობები საეკლესიო პრაქტიკაში</li> <li>• ძირითადი საეკლესიო ნივთების პრაქტიკული დანიშნულება</li> <li>• ღვთისმსახურებისთვის საჭირო ნივთების ტრადიციული ზომები</li> <li>• ძირითადი საეკლესიო ნივთების სიმბოლური მნიშვნელობა</li> <li>• საეკლესიო ნივთების სხვადასხვა მასალაში განხორციელების ტრადიციები</li> <li>• ახალი აღთქმა ტექსტის დონეზე</li> <li>• ხატთაყვანისცემის მართლმადიდებლური ტრადიციის განმარტება</li> <li>• ხატთაყვანისცემის საღვთისმეტყველო საფუძვლები</li> </ul>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ეფექტური კომუნიკაციის წარმართვა</li> <li>• კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენება</li> <li>• ეთიკის ნორმების დაცვა</li> <li>• დამკვეთის მოთხოვნების სრულად დაფიქსირება</li> <li>• შეუძლია განმარტოს ხატმწერის დანიშნულება საეკლესიო სწავლების შესაბამისად</li> <li>• შეუძლია დამკვეთს აუხსნას ხატმწერის კანონიკის დაცვის აუცილებლობა</li> <li>• შეუძლია დამკვეთს განუმარტოს საეკლესიო ნივთის საღვთისმსახურო პრაქტიკული დანიშნულება</li> <li>• შეუძლია მასალების შერჩევა საღვთისმსახურო ნაკეთობის დანიშნულების შესაბამისად</li> <li>• შეუძლია ლიტურგიკული გამოსახულების ამოცნობა</li> <li>• შეუძლია მიმართოს საჭირო დამხმარე სპეციალისტებს (სასულიერო პირები, ხელოვნებათმცოდნეები და სხვ.) კონსულტაციისთვის</li> <li>• შეუძლია სწორად გამოარჩიოს კანონიკური ხატმწერის ნიმუშები</li> <li>• შეუძლია მოიძიოს ძირითადი დღესასწაულებისა და</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>• ხატწერასთან დაკავშირებული საეკლესიო კრებათა კანონები</li> <li>• საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტურ პირთაგან (სასულიერო პირი, ხელოვნებათმცოდნე და სხვ.) კონსულტაციის მიღების წესი</li> <li>• იკონოგრაფიის აუცილებელი ნორმები</li> <li>• უდიდეს წმინდანთა და საეკლესიო დღესასწაულთა იკონოგრაფიული სქემები</li> <li>• საჭირო კანონიკური იკონოგრაფიული მასალის გამორჩევის ხერხები</li> <li>• წმინდანთა ცხოვრებების ასახვის ტრადიცია საეკლესიო მხატვრობაში</li> <li>• სახვითი ხელოვნების ისტორიის საფუძვლები</li> <li>• ხატწერის ისტორია</li> <li>• ტრადიციული ხატწერის ნიმუშების ზოგადი მახასიათებლები</li> <li>• საღვთისმეტყველო შინაარსის გამომხატველი მხატვრული ხერხები</li> <li>• წმინდანთა ცხოვრებების ხატწერაში ასახვის პრინციპები</li> <li>• ღვთისმსახურებისთვის საჭირო ნივთების ტრადიციული ფორმები</li> <li>• ძირითადი საეკლესიო ნივთების პრაქტიკული დანიშნულება</li> <li>• სქემატური ჩანახატის გამოყენების პრინციპი</li> <li>• შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების განსაზღვრის წესები</li> <li>• საჭირო მასალის საბაზრო ფასების მოძიების ხერხები</li> <li>• დაკვეთის გაფორმება კანონით განაზღვრული წესის შესაბამისად.</li> </ul>	<p>უდიდესი წმინდანების განსხვავებული იკონოგრაფიული რედაქციები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია შეუსაბამოს დამკვეთის მოთხოვნა კონკრეტულ კანონიკურ იკონოგრაფიულ ნიმუშს</li> <li>• შეუძლია საეკლესიო და საერო მხატვრობის განსხვავება</li> <li>• შეუძლია განასხვავოს ხატწერის ნიმუში სხვა ტიპის გამოსახულებისგან</li> <li>• შეუძლია საეკლესიო ხელოვნების ძირითადი მხატვრული სტილების გარჩევა</li> <li>• დააკავშიროს ნიმუშზე გამოსახული კომპოზიცია წმინდანთა ცხოვრებაში აღწერილ მოვლენებთან</li> <li>• დაკვეთის გარეგნული სახის განსაზღვრა საღვთისმსახურო პრაქტიკიდან გამომდინარე</li> <li>• საეკლესიო ნივთის გარეგნული სახის განსაზღვრა საღვთისმსახურო ტრადიციის გათვალისწინებით</li> <li>• სასურველი გამოსახულების დაფიქსირება სქემატური ჩანახატის სახით</li> <li>• საჭირო მასალების რაოდენობის სწორად განსაზღვრა</li> <li>• შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების განსაზღვრა</li> <li>• საჭირო მასალის საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაციის მოძიება</li> <li>• დაკვეთის შესრულების ვადების ზუსტად განსაზღვრა</li> <li>• დაკვეთის გაფორმება კანონის ნორმების დაცვით.</li> </ul>
2.	სამუშაოს ორგანიზება	იცის:	შეუძლია:

	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამუშაო ადგილის მოწყობის უსაფრთხოების წესები</li> <li>• სამუშაო ადგილის მოწყობის ერგონომიკული პრინციპები</li> <li>• სამუშაო ადგილის სპეციფიკური მოთხოვნები</li> <li>• განათების მოწყობის წესები</li> <li>• ხარაჩოს აწყობა-გამართვის წესი</li> <li>• მოსახატი კედლის გასანათებელი აღჭურვილობის დამონტაჟების წესები</li> <li>• ხარაჩოს პირობებში სახატავი მასალების მოხმარების წესები</li> <li>• საჭირო ინვენტარის მოძიების წესები</li> <li>• სახატავი ინვენტარის განაწილებისა და მოხმარების წესები</li> <li>• სამუშაოს სხვადასხვა ეტაპზე საჭირო იარაღების მოძიების წესები (დაგრუნტვა, მოოქროვება, დაფერვა და სხვ.)</li> <li>• ხატწერისთვის საჭირო იარაღების გამოყენების წესები</li> <li>• საჭირო იარაღების მოვლა-შენახვის წესები</li> <li>• ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით ინფორმაციის მოძიების წესები</li> <li>• კანონიკური საეკლესიო ხელოვნების ნიმუშების გამორჩევის კრიტერიუმები</li> <li>• საეკლესიო ხელოვნების განსხვავებული იკონოგრაფიული ტიპების გამორჩევის ხერხები</li> <li>• ხატწერის შესახებ მართლმადიდებლური ლიტერატურის მოპოვების წესები</li> <li>• სახატე მასალების ელექტრონულ და ადგილობრივ ბაზარზე შეძენის ხერხები</li> <li>• ხარისხიანი მასალის შერჩევის წესები</li> <li>• საჭირო მასალების შერჩევა-მომზადების წესები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამუშაო ადგილის მოწყობა უსაფრთხოების წესების შესაბამისად</li> <li>• სამუშაო ადგილის მოწყობა ერგონომიკული მოთხოვნების შესაბამისად</li> <li>• სამუშაო სივრცის ორგანიზება სპეციფიკური მოთხოვნების შესაბამისად</li> <li>• სამუშაო ადგილის მოწყობა განათების წესების გათვალისწინებით</li> <li>• შეუძლია ხარაჩოს გამართვის ორგანიზება უსაფრთხოების წესების დაცვით</li> <li>• შეუძლია ხარაჩოს აწყობის წარმართვა მოსახატი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით</li> <li>• შეუძლია კედლის მოსახატად საჭირო განათების დამონტაჟება საჭიროების მიხედვით</li> <li>• შეუძლია მოხერხებული სამუშაო პირობების ორგანიზება ხარაჩოზე</li> <li>• შეუძლია სამუშაო სივრცის აღჭურვა სპეციფიკის გათვალისწინებით</li> <li>• შეუძლია საჭირო ინვენტარის (მოლბერტი/დაზგა-მაგიდა) დამონტაჟება უსაფრთხოების ნორმების დაცვით</li> <li>• შეუძლია საჭირო იარაღების შერჩევა და მათი ვარგისიანობის განსაზღვრა</li> <li>• შეუძლია იარაღების შერჩევა-მომზადება კონკრეტული ამოცანის შესაბამისად</li> <li>• შეუძლია საჭირო იარაღების მოვლა-შენახვა წესების დაცვით</li> <li>• შეუძლია იკონოგრაფიული მასალების (ხატწერის ძველი ნიმუშების რეპროდუქციები) მომარაგება</li> <li>• შეუძლია ნიმუშზე გამოსახული წმინდანის/სცენის ამოცნობა იკონოგრაფიული სქემის მიხედვით</li> </ul>
--	--	---

		<ul style="list-style-type: none"> <li>• ზოგიერთი სახატავი მასალის ტოქსიკური თვისებები</li> <li>• სახატავ ტოქსიკურ ნივთიერებთან მოპყრობის უსაფრთხოების წესები</li> <li>• სახატავი მასალების შენახვის წესები</li> <li>• ფერადი პიგმენტების კუთრი წონა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია ხატწერასთან დაკავშირებული მართლმადიდებლური ლიტერატურის მომარაგება</li> <li>• შეუძლია საჭირო სახატავი მასალის შერჩევა-მომარაგება</li> <li>• სახატავი მასალების წესისამებრ მოვლა-შენახვა</li> <li>• ტოქსიკური სახატავი მასალების გამოყენება უსაფრთხოების ნორმების დაცვით</li> <li>• კონკრეტული სამუშაო ეტაპისთვის საჭირო მასალების სწორად შერჩევა</li> <li>• კონკრეტული სამუშაოსთვის საჭირო საღებავის წონა-რაოდენობის განსაზღვრა მათი კუთრი წონის მიხედვით.</li> </ul>
3.	<p><b>დასახატი დაფის ან/და კედლის ზედაპირის მომზადება</b></p>	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სახატე დაფის ხარისხის განმსაზღვრელი თვისებები</li> <li>• სახატე დაფის ზომისა და ფორმის მიხედვით დაჭრის ხერხები</li> <li>• სახატე დაფის სიმტკიცის განმპირობებელი ნიშან-თვისებები</li> <li>• ხის დასამუშავებელი იარაღების უსაფრთხოების ნორმების დაცვით მოხმარების წესები</li> <li>• სახატე დაფის ზედაპირის ქსოვილის ჩასაწებებლად მომზადების წესები</li> <li>• საჭირო ხარისხის ქსოვილის შერჩევის მოთხოვნები</li> <li>• ქსოვილის ჩასაკრავად საჭირო წებოს თვისებები</li> <li>• ქსოვილის ჩაკვრის წესები</li> <li>• ხატზე სანაწილეს განთავსების ტრადიციული მეთოდები</li> <li>• სანაწილის შერჩევის წესები საჭირო ამოცანიდან გამომდინარე</li> <li>• სანაწილის დასამაგრებელი წებოს საჭირო თვისებები</li> </ul>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სახატე დაფისთვის მასალის შერჩევა შესასრულებელი ხატის/კარედის მიხედვით</li> <li>• დაჭრას/სხვას დააჭრევიწოს სახატე დაფის მასალა საჭირო ზომებზე</li> <li>• სწორად შეაერთოს ნაწილები საჭირო ზომისა და ფორმის სახატე დაფის მისაღებად</li> <li>• უზრუნველყოს სახატე დაფის მდგრადობა</li> <li>• დაამუშაოს სახატე დაფის/კარედის საპირე მხარე შესასრულებელი ესკიზის მოთხოვნისამებრ (კიდობანი და სხვ.)</li> <li>• სახატე დაფის ზედაპირის დამუშავება ქსოვილის ჩასაწებებლად</li> <li>• შეარჩიოს შესაფერისი ქსოვილი</li> <li>• შეარჩიოს შესაფერისი წებო</li> <li>• ქსოვილის ჩაკვრა დაფის საჭირო ნაწილში ტექნიკური ნორმების დაცვით</li> </ul>



		<ul style="list-style-type: none"> <li>• დასაგრუნტი/მოსახატი ზედაპირის ხარისხის მოთხოვნები</li> <li>• ტრადიციული ნალესობის ტიპები</li> <li>• მოსახატი ზედაპირის სხვადასხვა ხარვეზით გამოწვეული პრობლემის აღმოფხვრის ხერხები</li> <li>• სხვადასხვა ნიშნით დაზიანებული დასაგრუნტი/მოსახატი ზედაპირის გამოსწორების ხერხები</li> <li>• დაგრუნტვის ეტაპების თანმიმდევრობა</li> <li>• იცის გრუნტის სხვა მასალებთან თავსებადობა</li> <li>• სხვადასხვა ზედაპირის დასაგრუნტი იარაღების მოხმარების წესები</li> <li>• სხვადასხვა ეტაპზე გრუნტის გაშრობა-დამუშავების წესები</li> <li>• გრუნტის გაპრიალეების სხვადასხვა მეთოდი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სწორად განსაზღვროს სანაწილის ადგილი სახატე დაფაზე ესკიზის მიხედვით</li> <li>• საჭირო ზომისა და ფორმის სანაწილის მოპოვება</li> <li>• სახატე დაფის ამოჭრა სანაწილის ჩასამაგრებლად</li> <li>• წებოს/სანთლის მომზადება/შერჩევა სანაწილის ჩასამაგრებლად</li> <li>• სანაწილის მყარად დაფიქსირება დაფის ღრუში</li> <li>• მოსახატი ზედაპირის ტიპური დაზიანებების აღმოფხვრა</li> <li>• კედლის/ხატის ხარისხიანი ზედაპირის მომზადება</li> <li>• ზედაპირის მომზადება გრუნტის დასადებად</li> <li>• გრუნტის სწორად შერჩევა ტექნოლოგიის გათვალისწინებით</li> <li>• გრუნტის სწორად დატანა ზედაპირზე</li> <li>• გრუნტის გაშრობა-დამუშავება ტექნოლოგიის წესების დაცვით</li> <li>• დაგრუნტული ზედაპირის გაპრიალეება.</li> </ul>
4.	<p><b>ხატის ან/და ფრესკის მოოქროება</b></p>	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოოქროების წესები</li> <li>• მოსაოქროებელი სარჩულების თავისებურებანი</li> <li>• სარჩულის დადების წესები</li> <li>• სარჩულის თავისებურებათა გავლენა მოოქროვილი ზედაპირის საბოლოო იერ-სახეზე</li> <li>• მოსაოქროებელი ნახატის შესრულების წესები</li> <li>• ნახატის გრავირებისთვის საჭირო იარაღების გამოყენების წესები</li> <li>• გრავირებული ნახატის მოოქროების ტექნოლოგიები</li> <li>• მოსაოქროებელი რელიეფის სპეციფიკის ნახატში გათვალისწინების წესები</li> </ul>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაფის/კედლის ზედაპირის მომზადება მოსაოქროებელი მასალების დასადებად</li> <li>• მოსაოქროებელი სარჩულის/ფერის შერჩევა</li> <li>• მოსაოქროებელი სარჩულის/ფერის სწორად დატანა</li> <li>• სარჩულის დამუშავება შესასრულებელი მოოქროების ტექნიკის გათვალისწინებით</li> <li>• დეკორატიული ნახატის დამოუკიდებლად შესრულება</li> <li>• შესასრულებელი გრავირების ტექნიკის სწორად შერჩევა</li> <li>• საჭირო იარაღების სწორი გამოყენება ნახატის გრავირების შესარულებლად</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>• ყალიბით დეკორატიული ფორმის მიღების წესები</li> <li>• რელიეფური დეკორატიული ორნამენტის სხვადასხვა ტექნიკით გამოყვანის წესები</li> <li>• წნულის გამოყვანის წესი</li> <li>• ყალიბის საშუალებით მოსაოქრობელი გრუნტის ამოწვის წესი</li> <li>• მოსაოქრობელი ფურცლების განსხვავებული თვისებები</li> <li>• მოსაოქრობელი ფურცლების განსხვავებული ტექნიკით დაფენის თავისებურებები</li> <li>• მოოქროების ცალკეული ტექნიკის შემთხვევაში საჭირო იარაღების მოხმარების წესები</li> <li>• მოოქროების პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრის ხერხები</li> <li>• გაპრიალების მეთოდები</li> <li>• მოოქროვილი ზედაპირის გასუფთავების წესები</li> <li>• მოოქროვილი ზედაპირის დამუშავების წესი მასზე ფერწერული სამუშაოს შესასრულებლად</li> <li>• მოოქროების დამცავი ფენის/ლაქის შერჩევის წესები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გრავირებული ნახატის მოსაოქრობელად შესაფერისი ტექნიკის შერჩევა</li> <li>• მოსაოქრობელი გამოსახულების/ორნამენტის დახატვა</li> <li>• მოსაოქრობელი ფიგურის/ორნამენტის შექმნა ყალიბის გამოყენებით</li> <li>• რელიეფური ორნამენტის შესრულება სხვადასხვა მეთოდით</li> <li>• წნულის გაკეთება</li> <li>• ყალიბის მეშვეობით მოსაოქრობელი გრუნტის ამოწვა</li> <li>• ოქროს ფურცლების ხარისხის განსაზღვრა</li> <li>• ოქროს ფურცლების სხვადასხვა ტექნიკით დაფენა</li> <li>• მოოქროების ტექნიკის შესაბამისი იარაღების საჭიროებისამებრ მოხმარება</li> <li>• მოოქროებისას წარმოქმნილი ხარვეზების დამოუკიდებლად აღმოფხვრა</li> <li>• მოოქროვილი ზედაპირის წესისამებრ გაპრიალება</li> <li>• მოოქროვილი ზედაპირის გასუფთავება</li> <li>• მოოქროვილი ზედაპირის მომზადება ფერწერული ფენის დასატანად</li> <li>• მოოქროვილი ზედაპირისთვის დამცავი ფენის/ლაქის სწორად შერჩევა/დამზადება</li> <li>• ლაქის წასმა მოოქროვილ ზედაპირზე ტექნოლოგიური წესების დაცვით.</li> </ul>
5.	მასალების დამზადება	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სხვადასხვა ტექნოლოგიით დასამზადებელი მაკავშირებლის რეცეპტები</li> <li>• შემკვრელი ნივთიერებების თვისებები</li> <li>• სხვადასხვა ტექნოლოგიით დამზადებული შემკვრელის</li> </ul>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განასხვავოს მასალათა შემკვრელი ნივთიერებების თვისებები</li> <li>• შეარჩიოს კონკრეტული ტექნიკით შესასრულებელი მხატვრობისთვის საჭირო მაკავშირებელი</li> </ul>

		<p>თავსებადობა სხვა სამხატვრო მასალებთან</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფერადი პიგმენტის შემცველი ქანების გარეგნული იერ-სახის თავისებურებები</li> <li>• ქანების მექანიკური დამუშავების უსაფრთხოების წესები</li> <li>• ქანების ქიმიური დამუშავების წესები</li> <li>• ქანიდან ფერადი პიგმენტის გამორჩევის ხერხები</li> <li>• ფერადი პიგმენტის დაწმენდისა და შენახვის წესები</li> <li>• ცალკეული პიგმენტის დამუშავების თავისებურებები</li> <li>• ცალკეული პიგმენტის მაკავშირებელთან შეჯერების თავისებურებები</li> <li>• ხატის საღებავის სხვადასხვა ტექნოლოგიით დამზადების რეცეპტები</li> <li>• რა შედეგი მოყვება საღებავების დამზადების წესში შეტანილ ცვლილებებს</li> <li>• სახატავი მასალების ურთიერთთავსებადობა</li> <li>• გრუნტის მნიშვნელობა მოხატულობისთვის</li> <li>• გრუნტის ტექნოლოგიის შერჩევის წესები</li> <li>• გრუნტის შემადგენელი ნივთიერებების ხარისხის მახასიათებლები</li> <li>• სახატე გრუნტის რამდენიმე ტექნოლოგიით მომზადების წესი</li> <li>• გრუნტის დროებითი შენახვისა და ხელახალი გამოყენების წესები</li> <li>• რეცეპტის ცვლილებით გრუნტის თვისებათა შეცვლის შესაძლებლობები</li> <li>• განსხვავებულ საბაზისო ნივთიერებებზე დამზადებული ლაქები</li> <li>• დამცავი ფენის/ლაქის დანიშნულება და მნიშვნელობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ხატწერისთვის საჭირო მაკავშირებელის მომზადება რამდენიმე რეცეპტით</li> <li>• შეუძლია ფერადი პიგმენტის შემცველი ქანის ამოცნობა</li> <li>• შეუძლია ქანების მექანიკური დამუშავება უსაფრთხოების ნორმების დაცვით</li> <li>• შეუძლია ქანების დამუშავება ქიმიური წესით</li> <li>• შეუძლია ფერადი პიგმენტის გამორჩევა ქანიდან</li> <li>• შეუძლია ფერადი პიგმენტის დამუშავება შესაბამისად</li> <li>• შეუძლია სხვადასხვა პიგმენტის თავისებურების გათვალისწინება დამუშავების პროცესში</li> <li>• შეუძლია ცალკეული პიგმენტის მაკავშირებელთან სწორად შეჯერება</li> <li>• შეუძლია საღებავის დამზადება სხვადასხვა ტექნოლოგიით</li> <li>• შეუძლია საღებავის დამზადებისას გაითვალისწინოს კონკრეტულ ეტაპზე შესასრულებელი მხატვრული ამოცანის საჭიროებები</li> <li>• შეუძლია გრუნტის შერჩევა სწორი ტექნოლოგიის მიხედვით</li> <li>• შეუძლია განსაზღვროს გრუნტის შემადგენელი ნივთიერებების ხარისხი</li> <li>• შეუძლია გრუნტის მომზადება რამდენიმე ტექნოლოგიით</li> <li>• შეუძლია მომზადებული გრუნტის შენახვა ტექნოლოგიის წესების დაცვით</li> <li>• შეუძლია გრუნტის დამზადება ინსტრუქციის მიხედვით</li> <li>• შეუძლია გრუნტის რეცეპტში სხვადასხვა მიზნით ცვლილებების შეტანა</li> <li>• გრუნტის რეცეპტში შეტანილი ცვლილებების შედეგების განსაზღვრა</li> </ul>
--	--	--	--

		<ul style="list-style-type: none"> <li>• ლაქის ტექნოლოგიური შერჩევის წესი</li> <li>• ლაქისა და გამხსნელის შესაბამისობის დადგენის წესი</li> <li>• ლაქის შემადგენელი ნივთიერებების ხარისხის განსაზღვრის წესი</li> <li>• ლაქის ტრადიციული რეცეპტები სხვადასხვა ტექნოლოგიის მოხატულობისთვის</li> <li>• თანამედროვე ლაქების თვისებები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ლაქების გარჩევა საბაზისო ნივთიერების მიხედვით</li> <li>• ლაქის შერჩევა მოხატულობის ტექნოლოგიის მიხედვით</li> <li>• ლაქისთვის სწორად შეარჩიოს გამხსნელი</li> <li>• ლაქის დასამზადებელი ნივთიერებების ხარისხის განსაზღვრა</li> <li>• ლაქის დამზადება ტრადიციული რეცეპტით</li> <li>• ლაქის დამზადება სხვადასხვა ტექნოლოგიის მხატვრობისთვის.</li> </ul>
6.	<p><b>ფერწერული ხატის დამზადება ნიმუშის მიხედვით</b></p>	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნახატის კომპოზიციური განაწილება-აგების ზოგადი პრინციპები</li> <li>• ხატვის ელემენტარული პრინციპები</li> <li>• ხატწერის სხვადასხვა სკოლის ხატვის პრინციპები</li> <li>• ფერწერული ხატის ტექნოლოგიის თეორია</li> <li>• ფერწერული ხატის შესრულების ეტაპების თანმიმდევრობა</li> <li>• ხატწერის სხვადასხვა სკოლის მხატვრული ხერხები</li> <li>• ფერწერის კანონები ფერთა ურთიერთმიმართების შესახებ</li> <li>• საეკლესიო მხატვრობაში გამოყენებულ ნიშან-სიმბოლოთა მნიშვნელობა</li> <li>• ხატწერის სიმბოლურ გამოსახულებათა შესახებ კანონიკური ლიტერატურა</li> <li>• იკონოგრაფიის აუცილებელი ნორმები</li> <li>• საღვთისმეტყველო შინაარსის საეკლესიო მხატვრობაში გადმოცემის ხერხები</li> <li>• იკონოგრაფიული ნიშნების მნიშვნელობა</li> </ul>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კომპოზიციური განაწილების წესების დაცვით</li> <li>• შესასრულებელი ნახატის სქემატური დაფიქსირება</li> <li>• გრაფიკული სახატე ესკიზის დამოუკიდებელად შესრულება</li> <li>• სახატავი მასალების შერჩევა და მომზადება შესასრულებელი ფერწერული ხატის მოთხოვნების შესაბამისად</li> <li>• სწორად დაგეგმოს ფერწერული სამუშაოების თანმიმდევრობა</li> <li>• შეარჩიოს შესასრულებელი ხატის კოლორიტი ნიმუშის მიხედვით</li> <li>• შეარჩიოს ხატის კოლორიტი ფერწერული ნორმების დაცვით</li> <li>• შეასრულოს ხატის ფერწერული დამუშავება სახელმძღვანელო ნიმუშის მხატვრული სტილის ზედმიწევნითი დაცვით</li> <li>• ხატწერის საქმიანობის მნიშვნელობის გაცნობიერება საეკლესიო ღვთისმსახურებაში</li> <li>• ფერთა სიმბოლიკის სწორად განსაზღვრა</li> <li>• ხატწერის საღვთისმეტყველო შესაძლებლობების დაფიქსირება</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>• ძირითადი დღესასწაულების/სცენების უმთავრესი იკონოგრაფიული ტიპები</li> <li>• ხატზე გამოსახული წარწერის დანიშნულება</li> <li>• სხვადასხვა ტიპის წარწერის განთავსებისა და მხატვრული გაფორმების ტრადიციები</li> <li>• კალიგრაფიული წერის ნორმები</li> <li>• სხვადასხვა ენით/შრიფტით წარწერის შესრულების წესები</li> <li>• ორთოგრაფიული ნორმების დაცვის აუცილებლობა</li> <li>• ქართული ასომთავრული დამწერლობა</li> <li>• ხატის წარწერის დაქარაგმების წესები</li> <li>• ფერწერული ხატის ტექნოლოგიის წესები</li> <li>• ფერწერული ხატის დამცავი საშუალებების თვისებები</li> <li>• ხატის უკანა მხარის შემკობის ტრადიციები</li> <li>• პალიტრის მომზადების წესები</li> <li>• საღებავის შეზავების წესები</li> <li>• კონკრეტული ფერის დაყენების ხერხები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ხატზე წარწერის შესაფერისი ადგილის განსაზღვრა</li> <li>• მხატვრული სტილის მიხედვით წარწერის სტილის შერჩევა</li> <li>• კალიგრაფიული წერა</li> <li>• წარწერის გაკეთება სხვადასხვა ენის შრიფტებით</li> <li>• წარწერის ორთოგრაფიული ნორმების დაცვით შესრულება</li> <li>• სახატე წარწერის სწორად დაქარაგმება</li> <li>• ფერწერული ხატის ხარისხიანი დამცავი ფენის/ლაქის მოპოვება/დამზადება</li> <li>• საჭირო დამცავი საშუალების არჩევა ფერწერული ხატის ტექნოლოგიიდან გამომდინარე</li> <li>• ფერწერული ხატის მხატვრული სტილის მიხედვით მისი გვერდითი და უკანა მხარეების შემკობა</li> <li>• ფერწერული ხატისთვის ჩარჩოს/კიოტის შერჩევა დანიშნულების გათვალისწინებით</li> <li>• ფერწერული ხატისთვის ჩარჩოს/კიოტის შერჩევა მხატვრული სახის გათვალისწინებით</li> <li>• პალიტრის მომზადება კონკრეტული დავალების მიხედვით</li> <li>• საღებავების შეზავება კონკრეტული ფერის მისაღებად</li> <li>• მოცემული ფიგურის/კომპოზიციის დაფერვის შესრულება.</li> </ul>
7.	საეკლესიო ატრიბუტიკის ესკიზის შექმნაში თანამონაწილეობა	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გუნდური მუშაობის პრინციპები</li> <li>• საეკლესიო ხელოვნების განსხვავებული დარგები</li> <li>• ძირითადი საეკლესიო ნივთების დანიშნულება</li> </ul>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გუნდთან/პარტნიორთან შეთანხმებული მუშაობა</li> <li>• განსაზღვროს საეკლესიო ნივთის განსახორციელებელი მასალა მისი დანიშნულებიდან გამომდინარე</li> </ul>

- |  |  |  |
|--|--|--|
|  | <ul style="list-style-type: none"> <li>• საეკლესიო ნივთების განხორციელებისთვის საჭირო მასალის შერჩევის წესები</li> <li>• ძირითადი საეკლესიო ნივთების სიმბოლური მნიშვნელობა</li> <li>• ძირითად საეკლესიო ნივთებზე გამოსახულების/სცენის მიმართ საეკლესიო კანონიკის მთავარი მოთხოვნები</li> <li>• ძირითადი საეკლესიო ნივთების დანიშნულება საღვთისმსახურო პრაქტიკაში</li> <li>• ძირითადი საეკლესიო ნივთების სიმბოლური მნიშვნელობა</li> <li>• საეკლესიო ნივთებზე ტრადიციულად არსებული გამოსახულებების სიმბოლური მნიშვნელობა</li> <li>• საეკლესიო ნივთების შემკობის სხვადასხვა ეროვნული ტრადიცია</li> <li>• საეკლესიო ნივთების რეპროდუქციების მოპოვების ხერხები</li> <li>• საეკლესიო ნივთებზე არსებული გამოსახულებების იკონოგრაფია</li> <li>• ძირითად საეკლესიო ნივთებზე გამოსახულების/სცენის მიმართ საეკლესიო კანონიკის მთავარი მოთხოვნები</li> <li>• ძველ საეკლესიო ნიმუშებში გამოყენებული ფერების/ფიგურების სიმბოლური დატვირთვა</li> <li>• ნახატის კომპოზიციური განაწილება-აგების ზოგადი პრინციპები</li> <li>• ხატვის ელემენტარული პრინციპები</li> <li>• საეკლესიო ხელოვნების მხატვრული სტილების თავისებურებანი</li> <li>• სხვადასხვა მასალაში განხორციელებული საეკლესიო</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• შეარჩიოს დაკვეთის (საეკლესიო ნივთის) პარამეტრები შემსრულებელ სპეციალისტთან შეთანხმებით</li> <li>• ზუსტად აღწეროს მასალის სპეციფიკური მოთხოვნები მოსამზადებელი ესკიზისთვის (შემსრულებელი სპეციალისტის დახმარებით)</li> <li>• დაკვეთილი ნივთისთვის განსაზღვროს საჭირო გამოსახულების შინაარსი საეკლესიო ტრადიციიდან გამომდინარე</li> <li>• შეარჩიოს სასურველი სიმბოლური დატვირთვის გამოსახულება შესაბამისი საეკლესიო ნივთისთვის</li> <li>• განასხვავოს საღვთისმსახურო ნივთებზე გამოსახულებანი სხვადასხვა საეკლესიო ეროვნული ტრადიციის მიხედვით</li> <li>• მოიპოვოს დაკვეთის (საეკლესიო ნივთის) კანონიკური ნიმუშების რეპროდუქციები</li> <li>• განსაზღვროს დაკვეთისთვის შესაფერისი იკონოგრაფიული გამოსახულება/სცენა მისი დანიშნულებიდან გამომდინარე</li> <li>• სასურველი შინაარსის გამოსახულების/სცენის ჩანახატის სახით დაფიქსირება</li> <li>• სწორად აარჩიოს მხატვრული სტილი მოსამზადებელი ესკიზისთვის დამკვეთთან და შემსრულებელ-სპეციალისტთან შეთანხმებით</li> <li>• ჩანახატის სახით წარმოადგინოს შესასრულებელი გამოსახულების/სცენის რამდენიმე ვარიანტი (2-3)</li> <li>• არგუმენტირებული მსჯელობა დაასაბუთოს ესკიზში წარმოდგენილი</li> </ul> |
|--|--|--|

		<p>ნივთების მთავარი მახასიათებლები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სქემატური ჩანახატის ფუნქცია</li> <li>• ჩანაფიქრის ჩანახატში ასახვის საშუალებები</li> <li>• საეკლესიო ხელოვნების განსხვავებული მხატვრული სტილები</li> <li>• ძირითადი საეკლესიო ნივთების დანიშნულება</li> <li>• ძირითადი საეკლესიო ნივთების სხვადასხვა მასალაში განხორციელების ტრადიციები</li> <li>• ძირითად საეკლესიო ნივთებზე არსებული გამოსახულებების მიმართ საეკლესიო კანონიკის მოთხოვნები</li> <li>• იცის ხატვის ელემენტარული პრინციპები</li> <li>• გუნდური მუშაობის პრინციპები</li> <li>• ესკიზის მასალაში განხორციელებისას მოსალოდნელი განსხვავებები</li> <li>• იკონოგრაფიული ესკიზის ცალკეული დეტალების მნიშვნელოვნების ხარისხი</li> </ul>	<p>გამოსახულების შესაბამისობა დაკვეთის მოთხოვნებთან</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შემსრულებელ-</li> <li>• სპეციალისტთან ერთად შეარჩიოს ესკიზის საბოლოო სახე მათი მოთხოვნების გათვალისწინებით</li> <li>• შემსრულებელ სპეციალისტთან ერთად შეიმუშაოს შესასრულებელი ნივთის ამსახველი სქემატური ჩანახატები</li> <li>• გრაფიკული სახატე ესკიზის დამოუკიდებელად შესრულება</li> <li>• დააფიქსიროს მოსამზადებელ ესკიზსა და მასალაში განხორციელებადი ნიმუშის თანხვედრა-განსხვავებანი</li> <li>• შეაფასოს მასალაში წარმოქმნილი ვარიაციის/ინერპრეტაციის შესაბამისობა სახელმძღვანელო ესკიზთან</li> <li>• მასალში განხორციელებისას წამოჭრილი მხატვრული პრობლემის გადაჭრაში დახმარება გაუწიოს შემსრულებელ სპეციალისტს</li> </ul>
<p>8.</p>	<p><b>პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა</b></p>	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თვითშეფასების მეთოდები</li> <li>• ხატის ტექნიკური შესრულების თანამედროვე მოთხოვნები</li> <li>• თანამედროვე ტექნიკური შესაძლებლობების ტრადიციასთან შეჯერების კრიტერიუმები</li> <li>• გამოფენებში მონაწილეობის წესები</li> <li>• ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების საშუალებების მოძიების მეთოდები</li> <li>• უმაღლესი განათლების მიღების გზები</li> <li>• თანამედროვე საეკლესიო მხატვრობის ტექნოლოგიური სფეროში მიმდინარე სიახლეები</li> </ul>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადეკვატური თვითშეფასება</li> <li>• კრიტიკისადმი კონსტრუქციული მიდგომა</li> <li>• კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების სფეროების იდენტიფიკაცია</li> <li>• პროფესიულ გამოფენებში მონაწილეობა</li> <li>• ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების გზების დაგეგმვა</li> <li>• ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით საეკლესიო ხელოვნების სფეროში არსებული უახლესი ტენდენციების მოძიება-გაცნობა</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>• ხატწერაში დამკვიდრებული ახალი მასალების შესახებ</li> <li>• პროფესიული სიახლეების გავრცელების წყაროები</li> <li>• პროფესიასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია უცხოურ ენაზე</li> <li>• ინფორმაციის შეგროვების საშუალებები</li> <li>• პროფესიული შეხვედრების, კონფერენციების და სემინარების მნიშვნელობა</li> <li>• მიმდინარე პროფესიული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოძიების საშუალებები</li> <li>• პროფესიულ ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო პროცედურები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროფესიული ლიტერატურის გაცნობა</li> <li>• გაეცნოს ხატწერის შესახებ ახლადშექმნილ ლიტერატურას</li> <li>• გამოარჩიოს და გამოიყენოს მაღალხარისხიანი საეკლესიო ლიტერატურა</li> <li>• მოსინჯოს საკუთარი შესაძლებლობები ახლადდამკვიდრებული სახატე მასალების გამოყენებაში</li> <li>• მიღებული ინფორმაციის გაანალიზება და კოლეგებისთვის გაზიარება</li> <li>• ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება</li> <li>• პროფესიულ ტრენინგებში აქტიურად ჩართვა.</li> </ul>
--	--	---	--

- სტანდარტის მოქმედების ვადა: 5 წელი

14. პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები:

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია, პოზიცია
1	ანდრიაძე იოსებ	ხატმწერი (მასალა: ხე, ქვა), ხელოვნებათმცოდნე; წმ. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელობის გიმნაზია
2	მალაქელიძე გიორგი	ხატმწერი
3	ინჭირველი თეა	ხატმწერი, ხელოვნებათმცოდნე. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა "ალილო". მხატვარი
4	რაზმაძე დიმიტრი	ხატმწერი (მასალა: ხე, ქვა, ლითონი) ხელოვნებათმცოდნე. თვითდამსაქმებული
5	ხოსროშვილი თამარ	ხატმწერი, ხელოვნებათმცოდნე; გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვისა კვლევის ეროვნული ცენტრი. მეცნიერ-თანამშრომელი
6	ჩხიკვიშვილი ეკატერინე	ხატმწერი
7	გურაშვილი თამარ	ხატმწერი. სამების საკათედრო ტაძარი. სამრევლო სკოლა



8	გიორგობიანი ნინო	ხატმწერი. ხელოვნებათმცოდნე. საქართველოს ეროვნული მუზეუმი
9	ჩუხუა გურგენ	ხატმწერი. ხელოვნებათმცოდნე. ქაშვეთის სამრევლო სკოლა
10	მანანა ჩხაიძე	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ექსპერტ-ფასილიტატორი
11	ია გიგობერია	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ექსპერტ-ფასილიტატორი

**დასახელება:** ხატმწერის ტექნიკის სპეციალისტი

### შეფასების სტანდარტი

#### ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

შეფასების სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლების ან/და არაფორმალური განათლების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით. შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს პროფესიულ სტანდარტში ასახული კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების შეფასების ან/და დადასტურების აუცილებელ პირობებს:

1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებს და ამოცანებში;
2. შესაფასებელი კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომელიც ასახავს აუცილებელ პროფესიულ ცოდნას და უნარებს;
3. შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების შესაძლებლობებს;
4. გამოცდის პროცესს და კომპონენტებს.

#### შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების გზები:

- ა) ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა)
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული კომპეტენციების დადასტურება (ნამდვილობის დადასტურება) განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით
- გ) მიღწეული კომპეტენციების დადასტურება ამ დოკუმენტით დადგენილი პრინციპებით ჩატარებული გამოცდის გზით

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

**ფორმალურ განათლებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი**

ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი მოიცავს მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებას (ჩათვლას) სამიხედო კვალიფიკაციის მიზნებისათვის ქვემოთ მოცემული პრინციპების შესაბამისად,

ა) დასაშვებია ნებისმიერი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა) ნებისმიერი კვალიფიკაციის ფარგლებში, თუ სწავლის შედეგები თავსებადია სამიხედო კვალიფიკაციასთან და მათი მიღწევა დადასტურებულია, რაც გამოიხატება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული დადებითი შეფასებით და შესაბამისი კრედიტის მინიჭებით.

ბ) თავსებადობის დადგენისთვის შინაარსობრივი შესწავლის მიზნით ამღიარებელი დაწესებულება ეყრდნობა პროფესიულ სტანდარტს ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც არის შემუშავებული გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან პროგრამის კომპონენტი, არსებობის შემთხვევაში - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ან/და სილაბუსებს, ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს. ამღიარებელი დაწესებულება უფლებამოსილია აღიარების მიზნებისათვის შესაფასებელ პირს მოსთხოვოს გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) გამოთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და წარდგენა.

გ) სწავლის შედეგების თავსებადობის განსაზღვრის მიზნით აუცილებელი არაა მათი ფორმულირება იყოს იდენტური. თავსებადად ჩაითვლება სწავლის შედეგები, რომლებიც/რომელთა ერთობლიობაც შინაარსის თვალსაზრისით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის გათვალისწინებით შესაძლოა მიჩნეულ იქნას ანალოგიურად.

## **ნაწილი 2. მითითებები შესაფასებელი პირის ადა შემფასებლისათვის**

### **შეფასების დაწყებამდე გაეცანით:**

- პროფესიულ სტანდარტს
- შეფასების ინსტრუმენტებს
- დაინტერესებული/შესაფასებელი პირის კომპეტენციების აღიარებასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს
- შემფასებლის ჩანაწერების ფორმებს
- შეფასების პირობებს
- შეფასების წესებს
- შეფასების კრიტერიუმებს

### **შეფასების პროცესში:**

- პირადად დააკვირდით დავალებების შესრულების/შეფასების პროცესს
- თითოეული შესაფასებლისათვის აწარმოეთ შეფასების ჩანაწერების ფორმები

- თუ აუცილებელია შესაფასებელს დაუსვით დამატებითი შეკითხვები დავალებასთან დაკავშირებით
- შეაფასეთ თითოეული კრიტერიუმი

### **შეფასების დასრულებისას:**

- შესაფასებელს მიეცით განმარტება შეფასებასთან დაკავშირებით
- შეაჯამეთ შეფასების შედეგები
- დაადასტურეთ შეფასების შედეგები ხელმოწერით
- შეფასების ჩანაწერები გადაეცით სათანადოდ უფლებამოსილ პირს

### **ნაწილი 3. შეფასების პროცედურა**

#### **მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ორგანიზების პროცესი და კომპონენტები**

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ჩატარების პროცესი მოიცავს დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალების შესრულების ეტაპებს.

მიუხედავად იმისა, დასტურდება თუ არა კვალიფიკაციით გათვალისწინებული კომპეტენციები შეფასების სტანდარტის ნაწილი 1-ის „შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება“ „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, შეფასების პროცესი მოიცავს სავალდებულო კომპონენტს (გამოცდას), რომლის შეფასება შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემულია გამოკითხვისა და პრაქტიკულ დავალებაზე დაკვირვების პროცესის მოთხოვნები, ასევე შეფასების სავალდებულო კომპონენტები.

#### **ნაწილი 4 : თეორიული გამოკითხვის და პრაქტიკული /დავალებების თემატიკა**

##### **გამოკითხვა**

##### **გამოკითხვის ფორმა:**

- შესაფასებელი პირის გამოკითხვა ხორციელდება ტესტის და ზეპირი შეკითხვების სახით
- ტესტი უნდა მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის შეკითხვებს

##### **გამოკითხვის პროცესის მონიტორინგი:**

არსებითია გამოკითხვის პროცესზე შემფასებლის მიერ ზედამხედველობის განხორციელება;

**მოპოვებული მტკიცებულებები:**

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებლის მიერ მომზადებული წერილობითი ნაშრომით/შესრულებული ტესტით, ან/და პრაქტიკული დავალების დროს დამატებით, დამაზუსტებელ შეკითხვებზე პასუხებით.

**თეორიული საგამოცდო თემატიკა:**

- დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად საგამოცდო თემატიკა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- ა) პირადი ჰიგიენის და სანიტარული ნორმები;
- ბ) შრომის უსაფრთხოების ნორმები;
- გ) მართმადიდებლური ხატწერის განვითარების ისტორია;

- დ) თითოეული წმინდანის იკონოგრაფიული გადაწყვეტა;
- ე) მართლმადიდებლური დღესასწაულების იკონოგრაფიული სქემა;
- ვ) ხატისა და ფრესკის დამზადებისათვის საჭირო მასალა.

სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

**ნაწილი 5. პრაქტიკული დავალების/დავალებები შესრულების/შეფასების კრიტერიუმების მითითებებით:**

**პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება**

**საგამოცდო გარემო:**

შესაფასებელი პირის შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალებების სახით.

**საგამოცდო პროცესის მონიტორინგი:**

საგამოცდო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს შემფასებელი/შემფასებლები (ნეიტრალური კომისია) წინასწარი დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.

**მოპოვებული მტკიცებულებები:**

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმით.

**საგამოცდო პრაქტიკული დავალებების ჩამონათვალი:**

**დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად სტუდენტმა უნდა შეასრულოს დავალება:**

- ა) ხატის კალკირება;

- ბ) სახატე დაფაზე ხატის შესრულება;
- გ) ფრესკისათვის კედლის მომზადება;
- დ) ფრესკის ნიმუშის მიხედვით ესკიზის შესრულება;
- ე) ფრესკის ფერში შესრულება.

**გაითვალისწინეთ:**

1. შესაფასებელი პირის მიერ შესრულებული სამუშაოს წარმოებისას ეკონომიური, ხარისხის უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, სამართლებრივი, უსაფრთხოების წესების დაცვის, ჰიგიენის დაცვის მიდგომების, სამუშაოს შესრულების თანამიმდევრობის შეფასება წარმოადგენს ზემოთჩამოთვლილ დავალებებზე დაკვირვების თანამდევ პროცესს და მასზე დამატებითი დროის გამოყოფა არაა რეკომენდებული.
2. შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში შესაფასებელი პირი პასუხობს მათ და საჭიროების შემთხვევაში მოჰყავს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების შესაბამისი არგუმენტები
3. სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

**ნაწილი 6. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაცია**

**შემფასებლის ჩანაწერების ფორმები**

შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

დადასტურებული კომპეტენცია	მტკიცებულებები		
	ფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	არაფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	გამოცდა (დანართი N)


შედეგი: დადასტურდა -----/ არ დადასტურდა -----

შემფასებლის კომენტარი:

დადასტურება: